მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების
კავკასიური ინსტიტუტი

ქართველი ავარელები: ჩაკეტილობა განვითარების წინააღმდეგ

თბილისი
2018

ქართველი ავარელები: ჩაკეტილობა განვითარების წინააღმდეგ

პუბლიკაცია მომზადებულია მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტის მიერ *ღია საზოგადოების ფონდის* ფინანსური მხარდაჭერით. ავტორის/ავტორების მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება შესაძლოა არ გამოხატავდეს ფონდის პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

Georgian Avars: Seclusion against Development

Publication is prepared by Caucasus Institute for Peace, Democracy and Development with the financial support of the *Open Society Georgia Foundation*. The views, opinions and statements expressed by the authors and those providing comments are theirs only and do not necessarily reflect the position of the Foundation. Therefore, the Open Society Georgia Foundation is not responsible for the content of the information material.

ISBN 978-99928-37-55-9

© The Caucasus Institute for Peace, Democracy and Development, 2018

© მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი, 2018

თბილისი, ა. წერეთლის გამზირი 72
ტელ. 2355154, ფაქსი 2355754
ვებ-გვერდი: http://www.cipdd.org

ქართველი ავარელები: ჩაკეტილობა განვითარების წინააღმდეგ

გია ნოდია

ქართველი ავარელები მცირე, მაგრამ ძალიან საინტერესო ბედის მქონე ეთნო-კონფესიური ჯგუფია. ის ძირითადად თავმოყრილია ყვარლის რაიონის სამ სოფელში, თივში, ჩანტლისყურესა და სარუსოში. 2014 წლის აღწერით, მათი რაოდენობა დაახლოებით სამი ათასი ადამიანია.

ეს მოსახლეობა ჩრდილო კავკასიიდან, დაღესტნიდან არის გადმოსახლებული ბოლო ორი საუკუნის მანძილზე და მჭიდრო კავშირს ინარჩუნებს თავის „ეთნიკურ სამშობლოსთან“, რაც გამოიხატება ნათესაურ კავშირებში, ხშირ მოგზაურობაში, ეკონომიკურ კონტაქტებში. ისინი ინარჩუნებენ მშობლიურ ენებს, თუმცა უმეტესობამ იცის ქართულიცა და რუსულიც. თემის რელიგია არის სუნიტური ისლამი.

1990-იანი წლების დასაწყისში ავარელთა თემი ზეწოლის ქვეშ აღმოჩნდა ქართული ნაციონალისტური ძალების მხრიდან, რომლებიც ავარელებს ეთნიკურ სამშობლოში, დაღესტანში დაბრუნებისკენ მოუწოდებდნენ. ავარელთა დიდი ნაწილი იძულებული გახდა წასულიყო, თუმცა ნაწილი (ძირითადად, ხანდაზმული მოსახლეობა) დარჩა. წასულთაგან ბევრი რეგულარულად ჩამოდის, განსაკუთრებით, ზაფხულობით, თუმცა სამუდამოდ, როგორც წესი, არ ბრუნდება. ამის შემდეგ მეტ-ნაკლებად სერიოზული დაძაბულება ავარელებსა და მათ ქართველ მეზობლებს შორის არ ყოფილა.

ავარელთა სოფლების პრობლემები ბევრი ნიშნით მათი მეზობელი ქართული სოფლების პრობლემებს ჰგავს: სოფლის მეურნეობა საკმარის შემოსავალს არ იძლევა, გავრცელებულია სიღარიბე და უმუშევრობა, შრომისუნარიანი მოსახლეობა ქალაქში ან საზღვარგარეთ ეძებს შემოსავლის წყაროს. მაგრამ უმცირესობის თემის ჩაკეტილობა და გაუცხოება დამატებითი პრობლემების წყაროა, რაც ამცირებს მათი მხრიდან საზოგადოებაში წარმატების მიღწევის პერსპექტივას.

2017-18 წლებში მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიურმა ინსტიტუტმა, *ღია საზოგადოების ფონდის* მხარდაჭერით, ავარელთა სოფლებში განახორციელა პროექტი, რომელიც ამ თემში სამოქალაქო განათლებას და ქართულ მოსახლეობასთან ინტეგრაციას ისახავდა მიზნად. ეს იყო პირველი ამ ტიპის პროექტი, რომელიც აღნიშნულ თემში განხორციელდა. პარალელურად ჩატარდა კვლევა, რომელიც თემის დღევანდელი მდგომარეობის და პრობლემების გამოვლენას ისახავდა მიზნად. კვლევის ჩატარებისას ჩვენი ძირითადი მოტივაცია ის იყო, რომ ქართულ საზოგადოებას პრაქტიკულად არა აქვს ინფორმაცია ქართველი ავარელების შესახებ, რაც ზოგჯერ მითების და სტერეოტიპების გავრცელებას იწვევს. ამ ნარკვევს არა აქვს პრეტენზია, რომ სრულფასოვან და დეტალურ სურათს შექმნის ავარელთა თემის პრობლემებზე, მაგრამ იმედი გვაქვს, რომ მკითხველს ზოგად წარმოდგენას შევუქმნით ავარელთა ცხოვრებაზე, განწყობებზე, ხედვებსა და პერსპექტივებზე.

ნარკვევი ძირითადად ემყარება 16 ვრცელ ჩაღრმავებულ ინტერვიუს, რაც მკველვართა ჯგუფმა თამარ ჩარკვიანის ხელმძღვანელობით ჩაატარა სამი ავარული სოფლის და მათი მეზობელი ქართული სოფლების მცხოვრებებთან, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან, არასამთვრობო აქტივისტებთან, ჟურნალისტებთან და ექსპერტებთან. გარდა ამისა, თემის პრობლემებზე ადეკვატური წრმოდგენის შესაქმნელად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კავკასიური ინ-

სტიტუტის საპროექტო ჯგუფის რეგულარულ კონტაქტებს სამი ავარული სოფლის და მეზობელი ქართული სოფლების წარმომადგენლებთან.

ეთნო-კულტურული პროფილი

ამ ნარკვევში განხილულ თემს დაღესტანთან ეთნო-კულტურული კავშირი და ისლამი აერთიანებს: ორივე კონტრასტს ქმნის გარშემო სოფლების ქართულ მოსახლეობასთან.

ამ თემის წარმომადგნელები დაღესტნიდან მე-19 საუკუნის შუახანში, კავკასიური ომის პერიოდში გადმოსახლდა თუ გადმოასახლეს. მე-20 საუკუნის შუახანში, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, გადმოსახლების მეორე ტალღა წამოვიდა.

არ არსებობს ცალსახა აზრი იმაზე, თუ რა ეთნონიმით უნდა მოვიხსენიოთ ეს მოსახლეობა. ქართველები მათ ტრადიციულად „ლეკებს“ ეძახიან, რაც დაღესტნელების ზოგად სახელად გამოიყენება. ეს მათში, როგორც წესი, პროტესტს არ იწვევს, თუმცა მათი თვითდასახელება უფრო მეტად „ავარელია“. ქართველი ექსპერტების აზრით, არც ეს დასახელებაა ზუსტი. ჯერ ერთი, თვით გამოთქმა „ავარელი“ რუსული „Аварец“-იდან მოდის, ქართულად კი მიღებულია, „ხუნძი“ ეწოდოთ. გარდა ამისა, ეს სახელწოდება არ ასახავს ეთნიკურ მრავალფეროვნებას თვით განსახილველ თემში. მიუხედავად ამისა, ამ ნარკვევში ტერმინ „ავარელს“ გამოვიყენებთ, როგორც ამ მომენტისთვის უფრო დამკვიდრებულს და თვით ამ თემის წარმომადგენელებისთვის უფრო მისაღებს.

საერთო დაღესტნური წარმომავლობა არ ნიშნავს, რომ ავარელთა თემი ეთნო-კულტურულად ერთგვაროვანია. დაღესტანი ჩრდილო კავკასიის სხვა რესპუბლიკებს შორის განსაკუთრებული ეთნიკური და ლინგვისტური მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ეს მრავალფეროვნება ჩვენ მიერ განხილულ სამ სოფელშიც იჩენს თავს. კერძოდ, სოფელ თივში დიდოელები

ანუ ცეზები ცხოვრებენ, სარუსოსა და ჩანტლისყურეში – ხუნძები; ისინი განსხვავებულ დიალექტებზე ლაპარაკობენ და ერთმანეთთან საურთიერთოდ ხშირად ქართულს, ხანდხან კი რუსულს მიმართავენ. გარდა ამისა, ზოგმა მათგანმა სალიტერატურო ავარულიც იცის. სოფლის მკვიდრნი მათ შორის ადათების და ხასიათის განსხვავებებსაც უსვამენ ხაზს.

რელიგია და ტრადიციები

ავარელები სუნიტი მუსლიმები არიან. ისლამი მათთვის იდენტობის მნიშვნელოვანი ნიშანია. მათი დიდი ნაწილი რეგულარულად დადის მეჩეთში და ისლამის წესებისადმი პატივისცემას გამოხატავს. ქრისტიანი ქართველების შეფასებით, ისინი მათთან შედარებით უფრო მკაცრად იცავენ რელიგიურ წესებს და ტრადიციებს. მოლა სოფელში ერთ-ერთ მნიშვნელოვან ავტორიტეტად ითვლება; სოფლის მკვიდრნი გარკვეული სახის კონფლიქტების მოსარიგებლად სწორედ მასთან მიდიან.

მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ყველა ავარელი მკაცრად იცავს რელიგიურ პრაქტიკას. ღორის ხორცი და ალკოჰოლი მიუღებელია დიდ წვეულებებზე, მაგრამ, როგორც საუბრებში გამოჩნდა, სინამდვილეში, ბევრი მამაკაცი ალკოჰოლს მოიხმარს, და ხშირად არც ღორის ხორცზე ამბობენ უარს. რაც შეეხება რამაზანის, მუსლიმური მარხვის, დაცვას, ეს ინდივიდზე და გარემოებებზე არის დამოკიდებული: ზოგი ავარელი აღიარებს, რომ ამას ვერ ახერხებს ან აუცილებლად არ თვლის, თუმცა უმრავლესობა რამაზანის დაცვას სავალდებულოდ მიიჩნევს.

ისლამური წესის დაცვის ერთ-ერთი თვალსაჩინო ნიშანი ქალის ჩაცმულობის ეტიკეტია. ამ მხრივ თემის პრაქტიკა ერთგვაროვანი არ არის და ოჯახის თუ პიროვნების გადაწყვეტილებაზე არის დამოკიდებული. სრულ ნიქაბს (როდესაც

ქალის სახეც და სხეულიც მთლიანად ისე არის დაფარული, რომ მისი იდენტიფიცირება შეუძლებელია) პრაქტიკულად არავინ იყენებს, ხიჯაბის (როდესაც ქალის თმა მთლიანად არის დაფარული) გამოყენება შედარებით იშვიათია. საინტერესოა, რომ ზოგი ახალგაზრდა გოგონა ხიჯაბს მხოლოდ ოჯახში ხმარობს, გარეთ კი იხსნის, შესაძლოა იმიტომ, რომ დაცინვის ეშინია. თავსაფრის ტარება, რომელიც თმას ნაწილობრივ ფარავს, ქალისთვის ნორმად ითვლება, თუმცა ზოგიერთი არც ამას თვლის სავალდებულოდ. საკამათო თემაა ახალგარდა გოგონების მიერ შარვლის ტარება ან კოსმეტიკის გამოყენება: უფროსი თაობა ამას ხანდახან ნეგატიურად აფასებს, თუმცა ბევრი ახალგაზრდა ქალი ამას მაინც აკეთებს. ზოგადად ითვლება, რომ ავარელი გოგონების ჩაცმულობა უფრო რეგლამენტირებულია, ვიდრე მეზობელი სოფლების ქრისტიანი ქართველებისა, თუმცა განსხვავება (თუ სავალდებულო თავსაფრებს არ ჩავთვლით) მეტისმეტად თვალშისაცემი არ არის.

შეიძლება ითქვას, რომ ქართველი ავარელები იზიარებენ რელიგიისადმი დამოკიდებულებას, რაც ზოგადად დამახასიათებელია ჩრდილო კავკასიელებისთვის, განსაკუთრებით, მეორე რუსეთ-ჩეჩნეთის ომამდე (რომელიც 1999 წელს დაიწყო): ისლამის გავლენა აქ გადაჯაჭვულია კავკასიურ ადათებთან, რომლებიც თავისთავად ისლამს არ უკავშირდება. ამიტომ სოფლის რიგითი ბინადარისთვის შეიძლება ცხადი არ იყოს, სად გადის ზღვარი ადათსა და ისლამურ წესებს შორის.

ავარელთა თემში თვალში საცემი არ არის პოლიტიზირებული რადიკალური ისლამის გავლენა. ეს არ ნიშნავს, რომ ასეთი რამ არ არსებობს: ცნობილია, რომ რადიკალური ისლამი საკმაოდ გავლენიანია დაღესტანში, რომელთანაც კახეთის ავარელებს ახლო ურთიერთობა აქვთ. თუ ასეთი გავლენა აქაც არსებობს, ის ჩვენი მცირემასშტაბიანი კვლევის პროცესში არ გამოვლენილა.

ზოგი რესპონდენტის აზრით, რელიგიურობის და რელიგიური წესების დაცვის ხარისხი საბჭოთა პერიოდთან შედა-

რებით საგრძნობლად გაიზარდა. ისლამის მიმართ ინტერესს უფროსებზე მეტად ახალგაზრდები იჩენენ. ეს გარემოება ბევრი თანამედროვე მუსლიმური საზოგადოებისთვის არის დამახასიათებელი. მეორე მხრივ, ზოგიერთი დამკვირვებლის აზრით, უფროსები უფრო მეტად ასრულებენ ისლამის ფორმალურ წესებს (რეგულარული ლოცვა, მარხვა რამაზანის დროს და მისთ.), ვიდრე ახალგაზრდები, სხვები კი თვლიან, რომ ახალგაზრდები უფრო იცავენ რელიგიის წესებს.

რელიგიური წესების მკაცრი მიდევნების ტენდენცია შესაძლოა დაღესტანთან კავშირებით იყოს გაპირობებული. როდესაც ზაფხულში ავარელებთან დაღესტნიდან სტუმრები ჩამოდიან, თვალში საცემი ხდება ადგილობრივი ქალების და გოგონების ჩაცმულობის ეტიკეტის გამკაცრება.

ავარელების ძირითადი დღესასწაულია ყურბანობა (ბაირამობა), რომელიც 22 მარტს აღინიშნება. მას წინ უსწრებს მარხვა. ადგილობრივები მას ქრისტიანული აღდგომის ერთგვარ ეკვივალენტად მიიჩნევენ. ამ დროს ყველა სახლის კარი ღიაა, დიდძალი საკლავი იკვლება და ოჯახებს ვალდებულება აქვთ, ყველას გაუმასპინძლდნენ. ეს ქართველებზეც ვრცელდება.

მიგრაცია ეროვნული მოძრაობის პერიოდში

ადგილობრივები (როგორც ავარელები, ისე ქართველები) დიდი ხალისით არ იხსენებენ ეროვნული მოძრაობის პერიოდს, ანუ 1980-იანი წლების ბოლოს და 1990-იანების დასაწყისს, რასაც „ზვიად გამსახურდიას დროსაც“ უწოდებენ. ამ პერიოდისთვის დამახასიათებელი იყო განწყობა, რომ ეთნიკური უმცირესობები საფრთხეს უქმნიდნენ საქართველოს, რადგან ისინი არ იყვნენ ლოიალურნი მისი ეროვნული პროექტის – სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის – მიმართ, და შეიძლება „მეხუთე კოლონად“ ქცეულიყვნენ მის მოწინააღმდეგეთა

ხელში. გარდა ამისა, განსაკუთრებით მუსლიმი ჯგუფების მიმართ გამოითქმებოდა შიში, რომ მაღალი შობადობისა და შემდგომი მიგრაციის შედეგად მათი წილი მოსახლეობაში თანდათან გაიზრდებოდა და ეს ქვეყნის ეთნო-კულტურულ ხასიათს შეცლიდა, ანუ რაღაც მომენტში ქრისტიანი ქართველები უმცირესობაში აღმოჩნდებოდნენ.

ეს განწყობა სისტემური ეთნიკური წმენდის პოლიტიკაში არ გადაზრდილა, მაგრამ უმცირესობის ბევრი თემი სერიოზული ზეწოლის ქვეშ აღმოჩნდა, რამაც ემიგრაციული პროცესები გამოიწვია. ერთი ასეთი თემი იყო ავარელების თემი, რომლის დიდმა ნაწილმა საქართველო დატოვა. ავარელებით დასახლებული სოფელი თხილისწყარო სრულიად დაიცალა და აღარ აღდგენილა, სხვა სოფლებში უმეტესად მოხუცები დარჩნენ. ზეწოლის ძირითად იარაღად გამოიყენებოდა ბლოკადა: ნაციონალისტი აქტივისტები პიკეტებს აწყობდნენ, რომ ავარელების სოფლებში სურსათის შეტანა შეუძლებელი გამხდარიყო. ზოგჯერ ავარელებზე მაღაზიაში პროდუქტს არ ყიდდნენ. იყო ავარელების სახლების დაწვის რამდენიმე შემთხვევაც, თუმცა შესაძლოა, ზოგ შემთხვევაში სახლები თვით ავარელებს დაეწვათ გადასახლების წინ პროტესტის ნიშნად. ასეთი ზეწოლის პერიოდი დაახლოებით ერთ წელს გაგრძელდა.

აქტივისტები, რომლებიც ამ ქმედებებს ახორციელებდნენ, უფრო მეტად თბილისიდან იყვნენ ჩასულნი, თუმცა მეზობელი ქართული სოფლების ზოგი მოსახლეც ასე იქცეოდა; მეორე მხრივ, ზოგი ქართველი მეზობელი ავარელებს ეხმარებოდა და ბლოკადის პერიოდში საკვებს აწვდიდა. არანაკლებ მტკივნეული იყო მიწების დაკარგვა, რაც შემოსავლის წყაროს გარეშე დარჩენას ნიშნავდა. კოლექტიურ მეხსიერებაში უმცირესობების განდევნაზე მიმართული ქმედებები უფრო მეტად შემორჩა როგორც იმდროინდელი სახელმწიფო პოლიტიკის გამოხატულება, ვიდრე ადგილობრივ თემებს შორის დაპირისპირება, თუმცა ეჭვს არ იწვევს, რომ კონფლიქტმა მაშინ რიგით ადამიანთა შორის ურთიერთობა დაძაბა.

როგორც წესი, ავარელები დაღესტანში გადადიოდნენ, სადაც ნათესავები ან, სულ მცირე, ეთნო-კულტურულად მშობლიური გარემო ელოდათ, თუმცა შეიძლება რუსეთის სხვა ნაწილებშიც წასულიყვნენ. უმეტეს შემთხვევაში, მათ საქართველოში სახლები არ გაუყიდიათ. ვითარების სტაბილიზაციის შემდეგ საქართველოში დაბრუნება დაიწყეს. დიდი ნაწილი, ვინც რუსეთის ფედერაციაში მეტ-ნაკლებად წარმატებით ააწყო ცხოვრება, საერთოდ აღარ დაბრუნებულა, მაგრამ მამაპაპეული სახლები მაინც შეინარჩუნა. ამის შემდეგ სერიოზული ინტერეთნიკულ კონფლიქტები აღარ ყოფილა, თუმცა თემებს შორის გარკვეულ უნდობლობას ამ პერიოდმა საკმაოდ შეუწყო ხელი.

მიგრაცია და კავშირები დაღესტანთან

დაღესტანი ავარელი მოსახლეობის „ეთნიკური სამშობლოა“ და ისინი მასთან სიახლოვეს გრძნობენ. ეს სიახლოვე კიდევ უფრო გააძლიერა იძულებითმა გადასახლებამ ეროვნული მოძრაობის პერიოდში. ოჯახებს, როგორც წესი, ნათესავები ჰყავთ დაღესტანში ან რუსეთის სხვა ნაწილებში; გავრცელებულია შემთხვევა, როდესაც მრავალშვილიან ოჯახში ზრდასრული შვილებიდან ზოგი დაღესტანში (ან რუსეთის სხვა ნაწილში) ცხოვრობს, ზოგი კი – საქართველოში.

ემიგრაცია ავარელთა სოფლებიდან შემდგომ წლებშიც გაგრძელდა, ოღონდ ამის მიზეზი იყო არა ეთნიკური კონფლიქტი, არამედ ეკონომიკური პერსპექტივები. თუ ავარელი ახალგაზრდის ამბიცია სოფლიდან ქალაქში გადასახლებაა, როგორც წესი, ის სწორედ დაღესტანში (რუსეთში) მიდის: დაღესტნის დედაქალაქი მახაჭკალა მისი კარიერისთვის უფრო ბუნებრივი ასპარეზია, ვიდრე თელავი ან თბილისი. გარდა ზოგადი ეთნო-კულტურული გარემოსი, ამ შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ დაღესტანში მას ეგულება სა-

ნათესაო-სანაცნობო ქსელები, რომელთა მეშვეობითაც ახალ ადგილას დაფუძნება და სამსახურის შოვნა გაუადვილდება; საქართველოს ქალაქებში მას ამის იმედი არა აქვს.

მიუხედავად ამისა, წასულები მშობლიურ სოფლებში ხშირად ჩამოდიან და ზოგჯერ არ არის ცხადი, აქვთ თუ არა მიღებული გადაწყვეტილება სამუდამოდ გადასახლების შესახებ. ზაფხულში ავარელების სოფლები გაცილებით უფრო ხალხმრავალია, ვიდრე სხვა პერიოდებში.

იმის გამო, რომ ოჯახები რუსეთში არიან წასული, სოფლებში ბევრი სახლი დაკეტილია, ან იქ მხოლოდ უფროსები ცხოვრობენ. მაგრამ ისინი, როგორც წესი, სახლებს მაინც არ ყიდიან, რათა დაბრუნების შანსი დაიტოვონ. ზოგიერთი რუსეთში წასული ავარელი გეგმავს, რომ პენსიაზე გასვლის შემდეგ საქართველოში, მშობლიურ სოფელში ჩამოვა, ამიტომ სურს, აქ სახლი შეინარჩუნოს.

მიგრაციის მასშტაბზე კარგ წარმოდგენას გვაძლევს სკოლის მოსწავლეების რაოდენობა. მაგალითად, როგორც სარუსოს სკოლის ყოფილი დირექტორი იხსენებს, ადრე ამ სოფლის სკოლაში დაახლოებით 200 მოსწავლე იყო, ამჟამად კი მოსწავლეთა რაოდენობა დაახლოებით 40-ამდე შემცირდა. ანალოგიური ვითარებაა დანარჩენ ორ სოფელშიც.

რუსეთთან ურთიერთობის გართულებამ, საქართველოს მოქალაქეებისთვის სავიზო რეჟიმის შემოღებამ ურთიერთობები რამდენადმე შეაფერხა: ადგილობრივებისთვის პრობლემას შეადგენს როგორც ვიზის აღების პროცედურების გავლა, ისე მისი გადასახადი. ამან ნეგატიური გავლენა იქონია ქართველი ავარელების ეკონომიკურ ცხოვრებაზეც: ორმხრივი ვაჭრობა მათ ეკონომიკურ ნიშას შეადგენდა, ხოლო რუსეთსა და საქართველოს შორის სასაზღვრო რეჟიმის ამოქმედებამ ასეთი საქმინაობა არსებითად შეაფერხა.

მიუხედავად ამისა, კონტაქტები არ შეწყვეტილა. შესაძლოა, ბევრი აქაური მოსახლე პრობლემას იმით წყვეტს, რომ ქართული პასპორტიც აქვს და რუსულიც, თუმცა ამაზე ღიად არ საუბრობენ, რადგან ქართული კანონმდებლობით სხვა

ქვეყნის პასპორტის აღება საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვას ნიშნავს.

დაღესტანთან ურთიერთობას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს მხარის ეკონომიკისთვის. ზოგადი სიღარიბის ფონზე, დაღესტანში მცხოვრები ნათესავების ეკონომიკური დახმარება სოფლის ეკონომიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. ამის გამო, ზოგი ქართველი მოსახლე ფიქრობს, რომ ავარელები ეკონომიკურად ქართველებზე უკეთ ცხოვრობენ. კერძოდ, გავრცელებულია აზრი, რომ უფროსი ასაკის ავარელები პენსიას რუსეთშიც იღებენ და საქართველოშიც, თუმცა თავად ავარელები ამაზე არ საუბრობენ.

ენა და განათლება, ინფორმაცია, სპორტი

საქართველოში მცხოვრები დიდი ეთნიკური უმცირესობებისთვის, კერძოდ, სომხებისა და აზერბაიჯანელებისთვის, ქართული ენის არცოდნა სერიოზული პრობლემაა, რაც ხელს უშლის მათ უმაღლესი განათლების მიღებაში, სახელმწიფო უწყებებთან ურთიერთობაში, სამსახურის შოვნაში, ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე ინფორმაციის მიღებაში და ა. შ. ავარელთა თემის შემთხვევაში ეს ნაკლებად არის აქტუალური. მათ სრულიად შენარჩუნებული აქვთ მშობლიური ენები, თუმცა მათი დიდი უმრავლესობა სხვადასხვა დონეზე ფლობს ქართულს და რუსულს. რაკი, ერთი მხრივ, თივის, მეორე მხრივ კი ჩანტლისყურის და სარუსოს მოსახლეობა სხვადასხვა დიალექტზე საუბრობს, ერთმანეთთან საურთიერთოდ ისინი ხშირად ქართულს იყენებენ.

ახალგაზრდობა სრულიად გამართული ქართულით ლაპარაკობს, ხანდახან ერთმანეთთანაც კი. ამაში გადამწყვეტ გავლენას ახდენს ის ფაქტი, რომ სამივე სოფელში არის ცხრაწლიანი ქართული სკოლა. საბჭოთა პერიოდში ითვლებოდა, რომ ავარელებმა რუსულად უნდა მიიღონ განათლება.

თივის სკოლაში იყო ქართული და რუსული სექტორები, ქართველები ქართულ სექტორზე სწავლობდნენ, ხოლო ავარელების უმრავლესობა რუსულ სექტორს არჩევდა. ჩანტლისყურესა და სარუსოში კი რუსულად სწავლობდნენ. ეს გარემოება თემებს შორის გაუცხოებას უწყობდა ხელს, ამასთან, ხელს უშლიდა ავარელების მიერ ქართული ენის დაუფლებას. უფროს თაობას, როგორც წესი, რუსულენოვანი განათლება აქვს მიღებული, თუმცა დიდმა უმრავლესობამ საკომუნიკაციო ქართულიც იცის.

გარდა ქართულისა, ბავშვები სკოლაში სწავლობენ რუსულს, სალიტერატურო ავარულს (რომელიც განსხვავდება მათი მშობლიური დიალექტისგან) და ინგლისურს. ეს გარკვეულ სიძნელეებს უქმნის ბავშვებს, რადგან ყველა ენა, რომელზეც სწავლება მიმდინარეობს, მათთვის უცხოა. მაგრამ მშობლები მაინც მიესალმებიან ამ მრავალენოვანებას.

დღევანდელ პირობებში რუსულის სწავლის ძირითადი მოტივი ადგილობრივებისთვის დაღესტანში მოგზაურობა ან გადასახლებაა, აგრეთვე, იქაურ ნათესავებთან ურთიერთობა. რუსეთში მცხოვრებმა ავარელებმა ხშირად ცუდად იციან მშობლიური ენა, ამიტომ მათთან რუსულად ურთიერთობა უფრო ადვილია. სკოლებში რუსული სექტორების გაუქმებას თავდაპირველად ადგილობრივებისგან გარკვეული წინააღმდეგობა შეხვდა, თუმცა ამ წინააღმდეგობას დრამატული ხასიათი არ ჰქონია. დღეს ბევრი რესპონდენტი მიესალმება იმას, რომ სკოლები ქართულენოვან სწავლებაზე გადავიდა, რადგან აღიარებენ სახელმწიფო ენის სრულყოფილად ცოდნის აუცილებლობას.

იმის გამო, რომ ქართულის არმცოდნე ავარელ ბავშვებს უჭირდათ სკოლაში ქართულ ენაზე სწავლის დაწყება, ბოლო წლებში გაიხსნა წინასასკოლო მომზადების ჯგუფები, რამაც მნიშვნელოვანი შედეგი გამოიღო: ავარელი ბავშვები გაცილებით უფრო მომზადებულები მოდიან პირველ კლასში და ნაკლები ენობრივი პრობლემა აქვთ.

ეკონომიკური გაჭირვების, ქართულ თემში არასაკმარისი ინტეგრირებულობის ან მოტივაციის არქონის გამო ცხრა კლა-

სის შემდეგ განათლებას ახალგაზრდების შედარებით მცირე ნაწილი აგრძელებს. ეს ეხება ეთნიკურად ქართველებსაც და ავარელებსაც, თუმცა ამ უკანასკნელებს უფრო მეტად. სკოლის მეათე-მეთორმეტე კლასებში სწავლა მათ მხოლოდ მეზობელ სოფელში – ახალსოფელში შეუძლიათ. ალტერნატიული არჩევანია ახალსოფლის კოლეჯში (ტექნიკუმში) სწავლა, სადაც მათ შეუძლიათ გარკვეულ პროფესიებს დაეუფლონ, როგორებიცაა, მაგალითად, კბილის ტექნიკოსი, ექთანი და ა.შ. მაგრამ ახალსოფელი საკმაოდ დაშორებულია (სხვადასხვა სოფლისგან სხვადასხვა მანძილით), რაც დამატებითი ფაქტორია, რის გამოც ახალგაზრდებმა შეიძლება უარი თქვან ცხრა კლასის შემდეგ სწავლის გაგრძელებაზე.

კიდევ უფრო იშვიათია უმაღლესი განათლება, განსაკუთრებით, გოგონებისთვის: მაშინაც კი, როცა მოზარდი ამით დაინტერესებულია, ოჯახები მათ ნაკლებად აქეზებენ უმაღლესი განათლების მისაღებად. თუ ახალგაზრდა უმაღლესი განათლების მიღებას გადაწყვეტს, როგორც წესი, ის ამისთვის დაღესტანში ან რუსეთის სხვა ნაწილში მიემგზავრება და არა საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში. საუნივერსიტეტო განათლებასთან შედარებით, ადგილობრივები უფრო მეტად იმით არიან დაინტერესებულნი, რომ მათთვის ცხრა კლასის შემდეგ პროფესიულ-ტექნიკური განათლება იყოს ხელმისაწვდომი, სასურველია, მათსავე სოფლებში.

საბავშვო ბაღები ავარელთა სოფლებში არ არის. ამ დაწესებულებათა შექმნა და შენახვა მუნიციპალური ძალაუფლების პრეროგატივაა, ხოლო ამ უკანასკნელს, შეზღუდული ბიუჯეტის პირობებში, საშუალება არა აქვს, ყველა სოფელში საბავშვო ბაღი გახსნას. ავარელთა სოფლებს მუნიციპალიტეტი სთავაზობდა ტრანსპორტს მეზობელი სოფლების საბავშვო ბაღებში ბავშვების გადასაყვანად, მაგრამ მშობლებმა არ მოინდომეს, რომ მათ შვილებს ყოველდღე სხვა სოფლებში ევლოთ.

ბიჭებში განსაკუთრებით პოპულარულია სპორტი, კერძოდ, ჭიდაობა. მაგრამ შესაბამისი ინფრასტრუქტურა განვითარებული არ არის. ამ მხრივ მნიშვნელოვანი იყო ჩანტლისყუ-

რეში სპორტული დარბაზის გახსნა, თუმცა მას ძირითადად ბიჭები იყენებენ.

ავარელთა სოფლებში არ არის განვითარებული კულტურასთან დაკავშირებული აქტივობა, როგორიც შეიძლება იყოს, მაგალითად, ფოლკლორული ჯგუფები ან სხვა რამ.

საქართველოს სატელევიზიო არხები (იმედი, რუსთავი-2) ავარელებისთვის ინფორმაციის ძირითადი წყაროა, თუმცა არ არის გამორიცხული, მოსახლეობის ნაწილი რუსულ არხებს ანიჭებდეს უპირატესობას.

ინტერეთნიკური ურთიერთობა

სამი სოფლიდან, რომელშიც ქართველი ავარელები ცხოვრობენ, ორი – ჩანტლისყურე და სარუსო – მონოეთნიკურია, თივში კი, თუმცა ავარელები უმრავლესობას შეადგენენ, მაგრამ ქართველებიც ცხოვრობენ. თივის ქართველთა დიდ ნაწილს შეადგენენ ეკომიგრანტები აჭარიდან, რომლებიც ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში ჩამოასახლეს. აჭარლების დასახლების შემდეგ, თივში რამდენიმე სხვა ქართული ოჯახიც დასახლდა. აღსანიშნავია, რომ დამოუკიდებლობის მოპოვების და რელიგიური ცხოვრების აღორძინების შემდეგ, აჭარლები (ისე როგორც ეს აჭარაში მოხდა), რელიგიურად გაიყვნენ: ზოგი ქრისტიანად მოინათლა, ზოგმა კი ისლამური წესის მიდევნება არჩია. ზედაპირული შეფასებით, თიველ აჭარლებს შორის ისლამისა და ქრისტიანობის მიმდევართა რაოდენობა დაახლოებით თანაბარია.

მეზობელი ქართული სოფლებიდან ავარელებს ყველაზე მჭიდრო ურთიერთობა აქვთ ახალსოფელთან, რომელიც ავარულ სოფლებს შორის მდებარეობს. გარდა ტრადიციული ქართული (კახური) სოფლებისა, ავარელთა დასახლების სიახლოვეს მდებარეობს აგრეთვე ოსების, უდების და ჩამოსახლებული იმერლების სოფლები. თუმცა, ინტერეთნიკურ

ურთიერთობებზე საუბრისას რესპონდენტები ძირითადად გულისხმობდნენ ურთიერთობას თივის ქართველებთან და ახალსოფლელებთან. თიველებს სოფლის შერეული შემადგენლობის გამო გაცილებით მეტი ურთიერთობა აქვთ ქართველებთან, ვიდრე სარუსოს და ჩანტლისყურის მოსახლეებს.

როგორც წესი, ადგილობრივები (ავარელებიც და ქართველებიც) ადამიანების დონეზე ურთიერთობას პოზიტიურად აღწერენ. ყველა თანხმდება, რომ ეროვნული მოძრაობის პერიოდში არსებული დაძაბულობა წარსულს ჩაბარდა. ბევრი რესპონდენტი კარგი ურთიერთობის ნიშნად ასახელებს მიმოსვლას ერთმანეთის დღესასწაულებზე, როგორიცაა, მაგალითად, ავარელების ყურბან-ბაირამობა, ან ერთმანეთის რიტუალურ ცერემონიებზე – ქორწილებში, გასვენებებში და ა. შ. დასწრება. ასეთ შემთხვევებში ავარელებს არ სჩვევიათ თანასოფლელთა ინდივიდუალურად დაპატიჟება, ისინი ატყობინებენ სოფელს, რომ აქვთ, ვთქვათ, ქორწილი, რაც სოფლის ყველა მოსახლის (მათ შორის ქართველის) დაპატიჟების ტოლფასია.

არსებობს ეკონომიკური ურთიერთობაც: ქართველები ხშირად ყიდულებენ ავარელებისგან ხორცის და რძის პროდუქტებს, ან ავარელები ვაჭრობენ მაღაზიებში, რომელთა მფლობელები ქართველები არიან. თემების წარმომადგენლები თანამშრომლობენ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების დროს: ქართველები ხშირად ქირაობენ ავარელებს გარკვეული სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების შესასრულებლად, ან პირიქით, ავარელს შეუძლია ტრაქტორის ქართველი პატრონი დაიქირავოს მიწის მოსახნავად. ბაზარი კიდევ ერთი ადგილია, სადაც სხვადასხვა ეთნოსის ადამიანები ერთმანეთს ხვდებიან.

ზოგადად, ერთმანეთის წესები და ადათები ორივე თემმა იცის და პატივისცემით ეკიდება მათ. ისინი თვლიან, რომ ვერც ერთი თემი ვერ აუკრძალავს მეორეს, ისე იცხოვროს, როგორც მას უნდა. ქართველებმა იციან, რომ ავარელები ღვინოს არ სვამენ და ღორს არ ჭამენ და პატივს სცემენ ამ ვითარებას. ავარელები ხანდახან უკმაყოფილებას გამოთქვამენ

იმის გამო, რომ თივში მცხოვრებ ქართველებს ღორები ჰყავთ, მაგრამ ეს, როგორც წესი, კონფლიქტის წყარო არ ხდება.

ამავე დროს, არსებობს ბარიერი, გაუცხოება ორი თემის წარმომადგენლებს შორის. ქორწინებები თემის წევრებს შორის უკიდურესად იშვიათია და ასეთ შემთხვევებს ორივე თემი ნეგატიურად უყურებს, თუმცა ავარელების მხრიდან წინააღმდეგობა მეტია. ამ შემთხვევაში რელიგიურ განსხვავებას უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ეთნიკურს, ავარელებს ურჩევნიათ, საკუთარ თემში მოძებნონ პარტნიორი. სხვა მუსლიმებთან (ქისტებთან, აჭარლებთან) ქორწინება შედარებით უფრო მიღებულია, ვიდრე ქრისტიან ქართველებთან.

ქრისტიანთან ქორწინების შემთხვევები (როგორც გათხოვება, ისე ცოლად მოყვანა) არსებობს, მაგრამ განსაკუთრებულ შემთხვევად ითვლება. თუ ქრისტიანი ქალი შედის ავარულ ოჯახში, ის მუსლიმურ წესზე უნდა გადავიდეს (რაც შეიძლება წინადაცვეთასაც გულისხმობდეს). ავარელმა რესპონდენტმა გაიხსენა შემთხვევა, როდესაც მის სოფელში ერთ-ერთ ოჯახში ქრისტიანი ქართველი ქალი შევიდა რძლად: როგორც ის კმაყოფილებით აღნიშნავს, შემდეგ ის ლეკებზე უფრო ერთგულად მლოცველი მუსლიმი გახდა. თუ არამუსლიმი ქალი ავარელზე თხოვდება, მაგრამ რელიგიის შეცვლა არ უნდა, წყვილი სხვაგან უნდა გადავიდეს საცხოვრებლად: მას ადგილობრივი თემი არ მიიღებს. ავარელი ქალის ქართველზე გათხოვებას ოჯახი უფრო მძიმედ ეგუება და ასეთ შემთხვევაში საკუთარ შვილთან ურთიერთობა შეიძლება დიდი ხნით გაწყვიტოს, თუმცა მოგვიანებით (განსაკუთრებით, შვილის გაჩენის შემდეგ), როგორც წესი, ოჯახი ურიგდება შვილის ქრისტიანულ ოჯახში შესვლას. უფროსი თაობის ავარელი იხსენებს წარსულის ეპიზოდებს, როდესაც ოჯახი შეიძლება სოფლიდან გაეძევებინათ იმის გამო, რომ მათი შვილი ქართველს გაჰყვა.

ყოფითი კონფლიქტების დროს (მათ შორის, ბავშვებს შორის) ქართველები ავარელებს „ურჯულოებად“ და „ყიზილბაშებად“ მოიხსენიებენ; ავარელები ქართველებს – „ღორებად“.

ინტეგრაციის ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო სოფლის სკოლებში რუსული სექტორის გაუქმება, რის შემდეგაც ავარელები და ქართველები სკოლაში ერთად სწავლობენ. დაბალ კლასებში არსებობს გარკვეული გაუცხოება, მათ შორის, იმიტომ, რომ სკოლაში შესვლის მომენტისთვის ავარელმა ბავშვებმა, ჩვეულებრივ, ქართული არ იციან. თავის როლს თამაშობს ოჯახებიდან წამოღებული ნეგატიური სტერეოტიპები. მაგრამ შემდეგ ურთიერთობა შეიძლება პირად მეგობრობაშიც გადაიზარდოს.

სოფელ თივის შემთხვევა

როდესაც მონოეთნიკურ თივში ქართველი მიგრანტები გამოჩნდნენ, ისინი დასახლდნენ სოფლის განაპირა მხარეს. მათი სახლები წრიულად არის განლაგებული, შუაში კი სივრცეა დატოვებული. ამგვარი განლაგებით ერთგვარად ხაზი ესმება სოფლის ქართული მხარის გამოყოფილობას და განსაკუთრებულობას. ქართველი მოსახლეების ნაწილს პრეტენზია აქვს, რომ ამ ადგილს ცალკე სოფლის სტატუსი მიეცეს „მთისუბნის“ სახელით, თუმცა ყვარლის მუნციპალიტეტი ამას მხარს არ უჭერს. ამ იდეის მიმართ თივის ავარელებიც ნეგატიურად არიან განწყობილი. ისინი მიიჩნევენ, რომ ტრადიციულად ეს ნაწილი სოფლის საძოვრებს შეადგენდა. რამდენჯერმე ქართველმა მოსახლეებმა თვითნებურად აღმართეს ტრაფარეტი „მთისუბანი“, ავარელებმა კი ის ჩამოხსნეს.

თიველი ავარელების განსაკუთრებით მწვავე რეაქცია გამოიწვია იმან, რომ ეთნიკურად ქართველთა დასახლების ცენტრში ქართველმა მოსახლეებმა ჯვარი აღმართეს. იყო შემთხვევები, როცა ქართველ მოსახლეებს ღორები დაუხოცეს. კონფლიქტი სერიოზულ დაპირისპირებაში არ გადაზრდილა, მაგრამ სოფლელები მას მთლიანად ამოწურულად არ თვლიან. ავარელების აზრით, საერთო მოედანზე, სოფლის ყველა მცხოვრების

შეკრების ადგილზე, ჯვრის აღმართვით მთლიანად სოფლის ქრისტიანულ იდენტობაზე ხდება მითითება, თუმცა სოფელში მუსლიმები, დიდ უმრავლესობას შეადგენენ.

კიდევ ერთი პრობლემა, რაც თიველებს აქვთ, ისაა, რომ სოფლის მუსლიმ მოსახლეობას მეჩეთის აშენება უნდა. სოფელში მეჩეთი უკვე არსებობს, მაგრამ ის სოფლის განაპირად არის (სასაფლაოსთან) და მისადგომად მოუხერხებელია. მათ სურთ, რომ მეჩეთი სოფლის ცენტრში იყოს, რისთვისაც სკოლასთან ახლოს მიწა შეისყიდეს. მაგრამ ჯერჯერობით მათ ადგილობრივი ხელისუფლებისგან ნებართვა ვერ მიიღეს. ადგილობრივი ქართველი ქრისტიანები კი თვლიან, რომ, როცა ერთი მეჩეთი არსებობს, მეორის აშენება, მით უმეტეს, სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე, არ არის გამართლებული.

ქართველების უკმაყოფილებას იწვევს ის ფაქტი, რომ ხმის გამაძლიერებლები მეტისმეტად მაღალ ხმაზეა დაყენებული, როდესაც მოლა მრევლს სალოცავად მოუწოდებს; ეს ხმაური აწუხებს ქრისტიან მოსახლეობას (მათ შორის, მეზობელ ახალსოფელში) და ღამის საათებში ძილს უფრთხობს. ისინი ამგვარ ქცევას დემონსტრატიულად აღიქვამენ.

ამ ტიპის კონფლიქტები მწვავე ხასიათს არ იღებს, მაგრამ მათთან დაკავშირებული უკმაყოფილება კვლევის პროცესში მაინც აისახა. ხელისუფლება ასეთ შემთხვევაში შედარებით პასიურ პოზიციას იკავებს და არჩევს, საკითხები ადგილობრივი თემების ურთიერთობით გადაწყდეს.

სახელმწიფოსადმი დამოკიდებულება და სამართალდაცვა

თემის მოსახლეობა სავსებით ლოიალურად არის განწყობილი ქართული სახელმწიფოსადმი; აქ არ ვრცელდება ალტერნატიული ისტორიული ნარატივები, რომლებიც თემის

განსახლების ტერიტორიის საქართველოსადმი კუთვნილებას ეჭვის ქვეშ დააყენებდა.

ამასთან, თემი საკუთარი ტრადიციების და ადათების ერთგულია, რაც იმაშიც გამოიხატება, რომ, როგორც წესი, ის თავს არიდებს სახელმწიფოს ჩარევას შიდა კონფლიქტების მოგვარებაში. თუ უკიდურესი აუცილებლობა არ არის, ისინი სამართალდამცავ ორგანოებს არ მიმართავენ: ასეთი რამ არასწორ ქცევად ითვლება. პოლიციის თუ სასამართლოს ჩაურთველობის მოტივებად, ჩვეულებრივ, ასახელებენ არა იმას, რომ ეს ორგანოები უსამართლოა, კორუმპირებული, არაეფექტური და ა.შ., არამედ იმას, რომ თემისთვის სამარცხვინოა უცხოების საკუთარ საქმეებში ჩარევა. ადამიანი, ვინც პოლიციასთან თანამშრომლობს, „შპიონად“ მიიჩნევა. ერთ-ერთი რესპონდენტის სიტყვით, ასეთია „ერთი-ორი პიროვნება, მაგრამ მათ ადამიანად არ თვლიან ჩვენთან“.

დავების განსახილველად (ჩხუბი, გოგოს მოტაცება და ა. შ.) თემის წევრები მიმართავენ არაფორმალურ ავტორიტეტს, რომელიც თითოეულ სოფელს ჰყავს და რომლის სიტყვას სოფლელებისთვის განსაკუთრებული წონა აქვს.

ავარელები სუსტად არიან წარმოდგენილი მმართველობის ორგანოებში. ყვარლის საკრებულოში თემი ერთი დეპუტატით იყო წარმოდგენილი, მაგრამ შემდეგ ისიც თავისი ნებით წამოვიდა. თავად ავარელები არ იჩენენ პოლიტიკურ პროცესებში ჩართვით დაინტერესებას, რაც თემის ჩაკეტილობის კიდევ ერთ გამოხატულებად შეიძლება ჩაითვალოს. არჩევნებში ავარელები, როგორც წესი, სახელისუფლებო კანდიდატებს აძლევენ ხმას, რაც მათი მხრიდან სახელმწიფოსადმი ერთგულების ნიშანია.

ძირითადი პრეტენზიები და მოლოდინები, რაც ავარელ მოსახლეობას ხელისუფლების მიმართ აქვს, ეხება ადგილობრივი ინფრასტრუქტურის გამართვას (გზებს, გარე განათებას და ა. შ.). ეთნიკურად ქართულ მოსახლეობას კი აქვს მოლოდინი, რომ სახელმწიფო იზრუნებს სამუშაო ადგილების შექმნაზე.

ეკონომიკა

ავარელები ღარიბად ცხოვრობენ, თუმცა ან ნიშნით ისინი არ გამოირჩევიან საქართველოს სოფლის, მით უმეტეს, მთის სოფლის მოსახლეობისგან. ზოგი ქართველი მეზობელი თვლის, რომ ავარელების ეკონომიკური მდგომარეობა მათთან შედარებით უპირატესიც კია რუსეთთან კავშირების და იქიდან მიღებული გზავნილების, ან, ზოგიერთი უფროსი ასაკის ადამიანის შემთხვევაში, რუსეთიდან მიღებული პენსიების გამო (თუმცა, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ დაღესტანი რუსეთის ფედერაციაში ერთ-ერთ ღარიბ რეგიონად ითვლება). სავარაუდოდ, რელიგიური თუ ზოგადად ტრადიციული ფაქტორის გამო ავარელები არ მისდევენ კახეთის ძირითად სასოფლო-სემეურნეო საქმიანობას – მევენახეობას, რაც ეთნიკურად ქართული მოსახლეობისთვის შემოსავლის ერთ-ერთი მთავარი, თუ არა უმთავრესი, წყაროა. ეს ქართულ მოსახლეობას ობიექტურად უპირატეს მდგომარეობაში აყენებს.

ტრადიციულად, ავარელების ძირითადი საქმიანობა მესაქონლეობაა, განსაკუთრებით, მეცხვარეობა, თუმცა ჰყავთ ძროხებიც. ხორცის, რძის პროდუქტების და მატყლის გაყიდვა ფულადი შემოსავლის მთავარი წყაროა (დაღესტნიდან მიღებული გზავნილების გარდა). მისდევენ მებაღჩეობასაც, პოპულარული კულტურებია სიმინდი და ლობიო. გარდა ამისა, შემოსავლის წყარო შეიძლება იყოს დღიური მუშაობა სასოფლო-სამეურნეო სფეროში ან მშენებლობაზე (დღიური გასამრჯელო დაახლოებით 25-30 ლარია). ამ უკანასკნელ სამუშაოებს ასრულებენ როგორც მამაკაცები, ისე ქალები. ცალკეული პირები სხვა ტიპის საქმიანობასაც ეწევიან: მუშაობენ სკოლის ან ბაღის მასწავლებლებად, აქვთ მაღაზიები, ვაჭრობენ ავტომანქანებით და ა. შ.

ახლო წარსულში ავარელებისთვის მნიშვნელოვან ეკონომიკურ ნიშად ითვლებოდა ვაჭრობა, კერძოდ, რუსეთიდან საქონლის ჩამოტანა და მისი საქართველოში რეალიზაცია. მაგრამ სავიზო რეჟიმის შემოღების და საბაჟო ნორმების

გამკაცრების ფონზე ასეთი საქმიანობა გაცილებით უფრო გართულდა.

როგორც ზოგადად საქართველოში, განსაკუთრებით კი სოფლად, ავარელებიც უმუშევრობას ერთ-ერთ უმძიმეს პრობლემად მიიჩნევენ. ეს ხელს უწყობს შრომითი მიგრაციის მაღალ დონეს, განსაკუთრებით – მამაკაცებს შორის.

ოჯახი, გენდერული ურთიერთობები და ქალის მდგომარეობა

დიდოელებიც და ხუნძებიც ცდილობენ, საკუთარი ეთნიკური ჯგუფის ფარგლებში დაქორწინდნენ, რაც, ბუნებრივია, მათ არჩევანს ავიწროებს. ხუნძებში (სარუსოს და ჩანტლისყურის მკვიდრებში) მისაღები პრაქტიკაა ნათესავებს, მათ შორის ბიძაშვილ-მამიდაშვილ-დეიდაშვილებს შორის ქორწინება. თიველები ახლო ნათესავთან ქორწინებას მიუღებლად მიიჩნევენ, თუმცა უფრო შორეულ ნათესავზე ქორწინება შეიძლება დაუშვან. ზოგადი ტენდენცია ისაა, რომ ნათესავებზე ქორწინება უფრო იშვიათი ხდება. ყოველივე ამის გამო, ქართველი ავარელები ხშირად პარტნიორს დაღესტანში ეძებენ.

ავარელები სოფლად მცხოვრები ტრადიციული თემია და არ არის გასაკვირი, რომ ქალის და კაცის ურთიერთობა რეგლამენტირებულია როგორც ძველი ადათებით, ისე ისლამის წესებით, თუმცა ამ თემის რეალობა არ ჯდება ტრადიციული ისლამური თემის სტერეოტიპებში; კერძოდ, ქალები გაცილებით უფრო დამოუკიდებლები და გავლენიანები არიან, ვიდრე ასეთმა სტერეოტიპულმა წარმოდგენამ შეიძლება გვაფიქრებინოს.

ერთ-ერთი პრობლემა, რომელმაც ქართული საზოგადოების ნაწილში თემის აღქმაზე მოახდინა გავლენა, გოგონების წინადაცვეთის პრაქტიკაა. 2016 წლის ბოლოს IWPR-ის ონლაინ გამოცემაში გამოქვეყნდა მასალა, რომელშიც აღიწერებოდა

გოგონების წინადაცვეთის გავრცელებული პრაქტიკა საქართველოს ავარელებს შორის. ამას მოჰყვა ჟურნალისტების და არასამთავრობო აქტივისტების ხშირი ვიზიტი ამ სოფლებში და მცდელობა, ვითარების დეტალები გამოეკვლიათ. ადგილობრივი თემმა ეს უკიდურესად ნეგატიურად შეაფასა, როგორც „უცხოების“ მიუღებელი ჩარევა თემის შიდა საქმეებში და მათ მიმართ ნეგატიური სტერეოტიპების დამკვიდრების მცდელობა, ავარელების „ჩამორჩენილობის“ ხაზგასმა. მათი თქმით, ავარელები ამის გამო ქართველების მხრიდან დაცინვის ობიექტები გახდნენ, ავარელ ქალებს ერიდებოდათ საჯარო სივრცეში გამოჩენა. ამის შედეგად ავარელები კიდევ უფრო ჩაიკეტნენ და თავს არიდებდნენ „უცხოებთან“ – განსაკუთრებით, ჟურნალისტებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან კონტაქტს.

ამან დაღი დაასვა მოცემული კვლევის მიმდინარეობასაც: მათი ნდობის მოპოვებას საკმაოდ დიდი ძალისხმევა დასჭირდა. ადგილობრივები ხშირად მხოლოდ იმ პირობით თანმხდებოდნენ კავკასიური ინსტიტუტის წარმომადგენლებთან კონტაქტს, თუ საუბარი აღნიშნულ თემას არ შეეხებოდა, თუმცა, ზოგჯერ ეს საკითხი მაინც ამოტივტივდებოდა ხოლმე საუბარში. არსებული ინფორმაცია საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ გოგონების წინადაცვეთის ტრადიცია ნამდვილად გავრცელებულია ავარელთა თემში, თუმცა საყოველთაო არ არის: სხვადასხვა ოჯახმა შეიძლება ამაზე სხვადასხვა გადაწყვეტილება მიიღოს. თუმცა ძნელია იმის გარკვევა, რამდენად არის გავრცელებული ეს ტრადიცია: ზოგი ცნობით, ის იშვიათობად იქცა, სხვა მოსაზრებით, მას ბევრი ოჯახი მისდევს.

სხვა საკითხებშიც, როგორც ბევრ სხვა საზოგადოებაში, თემის დამოკიდებულება გენდერული ურთიერთობის რეგლამენტაციის საკითხისადმი ერთგვაროვანი არ არის: სხვადასხვა ოჯახს თუ ინდივიდს სხვადასხვა მიდგომა აქვს. არსებობს განსხვავება თაობებს შორისაც: ახალგაზრდები ხშირად არ ეთანხმებიან უფროსებს და განსხვავებულ არჩევანს აკეთებენ, ეს იწვევს უფროსების მხრიდან კრიტიკას, ისინი ხში-

რად ცდილობენ აიძულონ ახალგაზრდები ტრადიციულ წესებს მისდიონ, მაგრამ ზოგჯერ ამას ვერ ახერხებენ.

ყველა რესპონდენტი თანხმდება, რომ ახალგაზრდა გოგონების და ბიჭების ურთიერთობა დღეს ნაკლებ იზღუდება, ვიდრე ადრე. ტრადიციულად, ქორწინების შესახებ გადაწყვეტილებას ოჯახები იღებდნენ; ახლა ახალგაზრდებს აქვთ საშუალება, ერთმანეთი გაიცნონ და თავად მიიღონ გადაწყვეტილება დაქორწინების თაობაზე, რის შემდეგაც მშობლებს მიმართავენ ნებართვის მისაღებად. ამაში ახალგაზრდებს ინტერნეტის გავრცელებაც ეხმარება: მათ ამ გზითაც შეუძლიათ ურთიერთობა. თუმცა, ახალგაზრდა ქალ-ვაჟს შორის ურთიერთობა მაინც შეზღუდულია: მაგალითად, შეხვედრისას მეგობრულად გადაკოცნა არ არის მიღებული, მაშინ როდესაც ქართველებში ეს გავრცელებული წესია. ქორწინებამდე სექსი სრულიად მიუღებელი ქცევაა. პარალალურად, გარიგებით ქორწინებების ტრადიციული ინსტიტუტიც მოქმედებს, თუმცა გოგონებს აქვთ უფლება, უარი თქვან გათხოვებაზე.

გოგონების მოტაცების პრაქტიკა გრძელდება, თუმცა უმეტესად ეს გოგოს თანხმობით ხდება: ამ შემთხვევაში „მოტაცების“ (უფრო სწორად, „გაპარვის“) აზრი ისაა, რომ წყვილი მშობლების თანხმობის გარეშე იღებს გადაწყვეტილებას. როგორც წესი გაპარვიდან გარკვეული დროის შემდეგ მხარეები რიგდებიან და ქორწილსაც იხდიან.

ითვლება, რომ გოგონებისთვის გათხოვების საუკეთესო ასაკი 18-19 წელია. მართალია, ცხრა კლასის დამთავრების შემდეგ გოგონებისთვის საქმროს ეძებენ და ნიშნავენ, მაგრამ მეტწილად ქორწილისთვის სრულწლოვანებამდე იცდიან. არის უფრო ადრეული ქორწინებებიც, თუმცა თექვსმეტ წლამდე გათხოვება ძალიან იშვიათია. ამ ტენდენციაზე საქორწინო ასაკის კანონმდებლობით გაზრდაც (18 წლამდე) მოქმედებს. მამაკაცებისთვის ქორწინების საუკეთესო ასაკად დაახლოებით 25 წელი ითვლება. ამას ისიც ემატება, რომ კაცს ქორწილისთვის ფინანსურადაც სჭირდება მომზადება: მან საცოლეს

ოქროული უნდა უყიდოს, ამისთვის კი შეიძლება რამდენიმე წლის მუშაობა დასჭირდეს.

მრავალცოლიანობა ავარელებში არ არის; რესპონდენტები უარყოფენ ასეთი პრაქტიკის არსებობას. ქალების მიმართ ოჯახური ძალადობა კვლევის პროცესში არ გამოვლენილა.

განქორწინება საკმაოდ გავრცელებული პრაქტიკაა და ხშირად ქალის ინიციატივით ხდება: ამის სრულიად ლეგიტიმური მიზეზი შეიძლება იყოს მაგალითად, ქმრის ლოთობა, უუნარობა, ოჯახი არჩინოს და ა. შ. ხშირ განქორწინებებს ხელს უწყობს ის გარემოებაც, რომ კაცები ხშირად რუსეთში მიდიან საშოვარზე და ცოლებს სოფელში ტოვებენ, რამაც შეიძლება ქალს განქორწინების გადაწყვეტილება მიაღებინოს. ამის გამო ქალი თემის მხრიდან გაკიცხვის ობიექტი არ ხდება. განქორწინებული ქალის ხელმეორედ (ან უფრო მეტჯერ) გათხოვება გავრცელებული და თემისთვის მისაღები პრაქტიკაა. მაგალითად, ვითარება, როდესაც ქალს სამი სხვადასხვა ქმრისგან სამი შვილი ჰყავს, არავის უკვირს და რაიმე ნეგატიურ შეფასებებს არ იწვევს – იმ პირობით, რომ სამივე შემთხვევაში ოჯახი ოფიციალურად გაფორმებული უნდა იყოს. ქართველი რესპონდენტები ამ მხრივ კონტრასტს უსვამენ ხაზს: მათი აზრით, ავარელების თემში განქორწინება გაცილებით უფრო მიღებული პრაქტიკაა, ვიდრე ქართველებში.

როგორც წესი, თემის არაფორმალური ავტორიტეტი მამაკაცია, მაგრამ ცალკეულ შემთხვევაში ეს როლი ქალმაც შეიძლება შეასრულოს. კვლევის პროცესში გავიცანით რამდენიმე ქალი, რომელიც საკმაო გავლენას ახდენს თემის ცხოვრებაზე საკუთარი ოჯახის გარეთ. ავარელთა თემში ვერანაირად ვერ დასტურდება სტერეოტიპი, რომ ქალის როლი შიდაოჯახური საკითხების მოგვარებით ამოიწურება.

ამ მხრივ აღსანიშნავია ქალების წამყვანი როლი ეკონომიკურ საქმიანობაში. მამაკაცების როლი ამ მხრივ უფრო მეტად იმაში გამოიხატება, რომ ისინი რუსეთში მიდიან, იქ სამუშაოს შოულობენ და შემდეგ სახლში ფულს ან საჩუქ-

რებს აგზავნიან. მაგრამ რაც შეეხება თვით ამ სოფლების ეკონომიკას, ქალები ხშირად იმ ფუნქციებსაც ასრულებენ, რაც ტრადიციულად „მამაკაცურად“ ითვლება – მაგალითად, ცხვარს მწყემსავენ. ქალები ოჯახის გარეთაც მუშაობენ – მასწავლებლებად, მაღაზიებში, მოჯამაგირეებად სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში, თუმცა ეს ძველ ტრადიციებს ეწინააღმდეგება. სოფლის ეკონომიკაში მამაკაცები ქალებთან შედარებით პასიურები არიან.

ყველაზე დიდი გამოწვევა, რაც ქალის მდგომარეობას ეხება, არის განათლება. თითქმის არ არის შემთხვევა, როდესაც ცხრაწლიანი განათლების მიღების შემდეგ გოგონები ახალსოფლის სკოლაში ან კოლეჯში აგრძელებდნენ სწავლას. აქ სხვა სოფელში სიარულის სირთულე გადამწყვეტი ფაქტორი არ არის (თუმცა მასაც მთლიანად ვერ გამოვრიცხავთ): მთავარია ზოგადი განწყობა, რომ გოგონასთვის ცხრაწლიანი განათლება სავსებით საკმარისია, ამის შემდეგ კი მან ოჯახის შექმნაზე უნდა იფიქროს.

სახელმწიფო პოლიტიკა ავარელთა თემის მიმართ

საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკა ეთნიკური უმცირესობების მიმართ სხვადასხვა მიმართულებას გულისხმობს: ესაა განათლება, კულტურა, საინფორმაციო უზრუნველყოფა და ა. შ. უმცირესობების პოლიტიკის განხილვასა და შემუშავებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს სახალხო დამცველთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა საბჭო, რომელში შემავალი ორგანიზაციები წარმოადგენენ როგორც ყველაზე მსხვილ უმცირესობებს (აზერბაიჯანული, სომხური), ისე საკმაოდ მცირერიცხოვანს. საბჭოს სახით, უმცირესობათა წარმომადგენლებს მნიშვნელოვანი ბერკეტი აქვთ ამ დარგში პოლიტიკის შემუშავებაზე. საბჭოში შედიან ავარული თემის წარმომადგენლებიც, საბჭოს წევრებს არაერთხელ ჰქონდათ

შეხვედრები ავარელთა სოფლებში მათი პრობლემების გასაცნობად.

ავარელების შემთხვევაში საბჭომ პრიორიტეტულად ჩათვალა მშობლიურ ენაზე განათლების საკითხი. ეს საკითხი მოგვარდა რამდენიმე წლის წინ, როდესაც ავარელთა სოფლებში სკოლის პროგრამაში ავარულის სწავლა შევიდა. ამავე დროს, იმის გათვალისწინებით, რომ სხვადასხვა სოფლის მცხოვრებნი სხვადასხვა დიალექტზე საუბრობენ, მასწავლებლებს საშუალება აქვთ, ავარული ენის სწავლების ფარგლებში, მოსწავლეებს მათ საკუთარ დიალექტზეც ჩაუტარონ გაკვეთილები.

არის უფრო კონკრეტული საკითხები, რომელზეც საბჭო რეაგირებას ცდილობს. მაგალითად, საბჭოს შუამდგომლობით ჩანტლისყურის წინასასკოლო მომზადების ჯგუფს წიგნები და სასწავლო მასალები გადაეცა.

ზოგადად, ავარელთა მცირერიცხოვანი თემი შედარებით ნაკლებ პრობლემურად ითვლება და შესაბამისად ნაკლები ყურადღება ექცევა, ვიდრე უფრო მრავალრიცხოვან უმცირესობებს, როგორებიც არიან აზერბაიჯანელები და სომხები, რომელთა დიდმა ნაწილმა ქართული ენა არ იცის და გაცილებით უფრო გაუცხოებულია საზოგადოებრივი ცხოვრებისგან.

დასკვნები და პერსპექტივები

ქართველ ავარელთა თემის ძირითად გამოწვევად შეგვიძლია ჩავთვალოთ მისი ჩაკეტილობა და იზოლირებულობა, რაც, თავის მხრივ, აფერხებს ახალგაზრდათა შანსებს, განვითარდნენ და ქართულ საზოგადოებაში წარმატებას მიაღწიონ. ამის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო ინდიკატორია დაბალი მოტივაცია განათლების სფეროში: ახალგაზრდების უმრავლესობა არ იჩენს ამბიციას, ცხრა კლასის შემდეგ განათლება გააგრძელოს, ხოლო თუ ასეთი ამბიცია გაჩნდა, ახალგაზრდები სწავლის გაგრძელების პერსპექტივას უფრო

მეტად დაღესტანს ან რუსეთის სხვა რეგიონებს უკავშირებენ. განსაკუთრებით სუსტია განათლების მოტივაცია გოგონებში, რადგან ტრადიციული თემი ქალის როლს შიდაოჯახურ ფუნქციას უკავშირებს.

ამავე დროს, როგორც კვლევამ, ისე თემთან ურთიერთობამ კავკასიური ინსტიტუტის მიერ განხორციელებული პროექტის ფარგლებში გამოავლინა, რომ ახალგაზრდა ავარელებს რეალურად აქვთ საიმისო ინტერესი, რომ მეტი ურთიერთობა ჰქონდეთ ქართველ თანატოლებთან და უფრო აქტიური როლი ითამაშონ საზოგადოებრივ ცხოვრებაში როგორც რეგიონის, ისე ქვეყნის მასშტაბით. ზოგადად, თემი უაღრესად კეთილგანწყობილია საქართველოში ცხოვრების პერსპექტივის მიმართ და წუხილს გამოთქვამს იმის გამო, რომ მაღალი შრომითი მიგრაციის პირობებში მისი მომავალი კითხვის ქვეშ დგება. სახელმწიფოს, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, თვით ქართველ ავარელთა მეტი აქტიურობის შემთხვევაში რეალისტურია, რომ ავარელთა თემი ქართულ საზოგადოებაში უფრო ინტეგრირებული და წარმატებული გახდეს.